დანართი N1

პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. „პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი“ (შემდგომში - წესი) შემუშავებულია „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე.

2. ამ წესის მიზანია:

ა) უზრუნველყოს მონაცემთა დამუშავებისას და მათი გაცემისას სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრში (შემდგომში - ცენტრი) დასაქმებულ პირთა, ასევე იმ მესამე პირთა, რომლებიც ცენტრის სახელით ახორციელებენ თავიანთ უფლებამოსილებას, უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა, მათ შორის, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა.

ბ) განსაზღვროს პერსონალურ მონაცემთა დაცვის სტრატეგია, მონაცემთა დაცვის ძირითადი პრინციპები და მექანიზმები.

3. ცენტრის მიერ პერსონალურ მონაცემთა დამუშავების ძირითადი პრინციპებია: კანონიერება, ლეგიტიმურობა, სამართლიანობა, პროპორციულობა, გამჭვირვალობა, სიზუსტე.

4. ცენტრში პერსონალური მონაცემების დამუშავება, დაცვა და შენახვა

ხორციელდება წინამდებარე წესისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

5. ცენტრის მიერ პერსონალური მონაცემი მუშავდება კანონიერად, სამართლიანად, მონაცემთა სუბიექტისთვის გამჭვირვალედ და მისი ღირსების შეულახავად.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

ამ წესის მიზნებისათვის გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

ა) პერსონალური მონაცემი – ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც იდენტიფიცირებულ ან იდენტიფიცირებად ფიზიკურ პირს უკავშირდება. ფიზიკური პირი იდენტიფიცირებადია სახელით, გვარით, პირადი ან/და საიდენტიფიკაციო ნომრით, გეოლოკაციის მონაცემებით, ელექტრონული კომუნიკაციის მაიდენტიფიცირებელი მონაცემებით, ფიზიკური, ფიზიოლოგიური, ფსიქიკური, ფსიქოლოგიური, გენეტიკური, ეკონომიკური, კულტურული ან სოციალური მახასიათებლით;

ბ) განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემი - მონაცემი, რომელიც დაკავშირებულია, ფიზიკური პირის რასობრივ, ეთნიკურ კუთვნილებასთან, პოლიტიკურ შეხედულებებთან, რელიგიურ, ფილოსოფიურ ან სხვაგვარ მრწამსთან, პროფესიული კავშირის წევრობასთან, არასრულწლოვანის შესახებ ინფორმაციასთან, ჯანმრთელობასა და სქესობრივ ცხოვრებასთან, მსჯავრდებასთან, ნასამართლეობასთან, განრიდებასთან, ადამიანით ვაჭრობასთან ან „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად დანაშაულის მსხვერპლად ცნობასთან, პატიმრობასთან, სასჯელის აღსრულებასთან, ბიომეტრიულ და გენეტიკურ მონაცემებთან;

გ) მონაცემთა დამუშავება – პერსონალური ინფორმაციის შეგროვება, მოპოვება, მათზე წვდომა, ფოტოგადაღება, ვიდეო/აუდიომონიტორინგი, მონაცემთა ორგანიზება, დაჯგუფება, შეცვლა, შენახვა, აღდგენა, ურთიერთდაკავშირება, დაბლოკვა, გამოთხოვა, გამოყენება, წაშლა ან განადგურება;

დ) მონაცემთა სუბიექტი - ნებისმიერი ფიზიკური პირი, ვისი მონაცემებიც მუშავდება ცენტრის მიერ;

ე) დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირი – ცენტრი, რომელიც თავისი კომპეტენციის ფარგლებში განსაზღვრავს პერსონალურ მონაცემთა დამუშავების მიზნებსა და საშუალებებს. ცენტრი მონაცემების დამუშავებას ახდენს უშუალოდ ან უფლებამოსილი პირის მეშვეობით;

ე) დამუშავებაზე უფლებამოსილი პირი - ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც ამუშავებს მონაცემებს ცენტრისთვის ან მისი სახელით;

ვ) მონაცემთა მიმღები -ნებისმიერი დაწესებულება, ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელსაც ცენტრი გადასცემს მონაცემებს, გარდა პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურისა;

ზ) მესამე პირი - ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირი, საჯარო დაწესებულება, გარდა მონაცემთა სუბიექტისა, პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურისა, მონაცემთა დამმუშავებლისა და უფლებამოსილი პირისა;

თ) ინციდენტი - პერსონალურ მონაცემთა უსაფრთხოების იმგვარი დარღვევა, რომელიც იწვევს მონაცემების არამართლზომიერ ან შემთხვევით დაზიანებას, დაკარგვას, უნებართვო გამჟღავნებას, განადგურებას, შეცვლას, მათზე წვდომას, მათ შეგროვებას ან სხვაგვარ უნებართვო დამუშავებას;

ი) პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი - ცენტრის თანამშრომელი, რომელიც ასრულებს საქართველოს კანონმდებლობით და წინამდებარე წესით განსაზღვრულ ფუნქციებს.

მუხლი 3. მონაცემთა დამუშავება

1. ცენტრი მონაცემებს ამუშავებს, როგორც ავტომატური, ნახევრად ავტომატური, ასევე, არაავტომატური საშუალებების გამოყენებით. ცენტრი ამუშავებს, როგორც ცენტრთან შრომით ურთიერთობაში არსებული პირის, ასევე საჭიროების შემთხვევაში სხვა პირის პერსონალურ მონაცემებს, რომელიც დაკავშირებულია ცენტრისთვის კანონმდებლობით დაკისრებული ვალდებულებების ჯეროვნად შესრულებასთან.

2. ცენტრი, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე, ამუშავებს ისეთ პერსონალურ მონაცემებს, როგორიცაა: საცხოვრებელი და ელექტრონული ფოსტის მისამართი, ტელეფონის ნომერი, მოქალაქეობის, განათლების, სოციალურის სტატუსის/ შემოსავლების შესახებ, ოჯახური მდგომარეობის შესახებ, პასპორტში, პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტში, დაბადების მოწმობაში, ავტომობილის მართვის მოწმობაში და პიროვნების მაიდენტიფიცირებელ სხვა დოკუმენტში მითითებული ინფორმაცია, საბანკო ანგარიშის ნომერი, საჯარო წყაროებში არსებული

ინფორმაცია, რაც ინტერნეტში საჯაროდ ხელმისაწვდომია კანონიერად, ასევე სამსახურში დანიშვნა/გათავისუფლებასთან, სოციალური შეღავათების დანიშვნასთან და ცენტრისთვის კანონმდებლობით დაკისრებული ვალდებულებების განხორციელებასთან დაკავშირებული ინფორმაცია.

3. ცენტრი, თანამშრომელთა ინტერესებიდან გამომდინარე, ამუშავებს განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემებს, ნასამართლეობის და ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ, მხოლოდ მონაცემთა სუბიექტის საჭიროებისთვის და მისი თანხმობის საფუძველზე.

4. მონაცემების მოპოვება/შეგროვება ხდება მხოლოდ კონკრეტული, მკაფიოდ განსაზღვრული და ლეგიტიმური მიზნებისათვის. მონაცემები მუშავდება იმ მოცულობით, რომელიც აუცილებელია ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად.

5. პერსონალურ მონაცემებზე წვდომა, საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში, შესაძლებელია ჰქონდეს ცენტრის მიერ უფლებამოსილ პირს.

6. ცენტრი უფლებამოსილია, დაამუშავოს პერსონალური მონაცემები დისციპლინური პასუხისმგებლობის ღონისძიებების გატარების დროს.

7. ცენტრი უზრუნველყოფს:

ა) პერსონალურ მონაცემთა დაცვის მონიტორინგის მუდმივად განხორციელებას;

ბ) პერსონალური მონაცემების დამუშავების, შენახვის და გაცემის შესახებ დასაქმებულთა ინფორმირებას ამ წესის შესაბამისად;

გ) მონაცემთა დამუშავებაში მონაწილე ფიზიკური პირის კონფიდენციალურობის დაცვას;

დ) ელექტრონული ინფორმაციის დამმუშავებელი მოწყობილობის დაცვას არაავტორიზებული წვდომისგან ან/და განზრახ დაზიანებისაგან. ამასთან, ცენტრი იღებს შესაბამის ზომებს, რათა მონაცემები დაცული იქნას უკანონო გამჟღავნებისაგან, შეცვლისგან ნებისმიერი სხვა ფორმით უკანონო გამოყენებისა და შემთხვევითი ან სხვა სახის დაკარგვისგან;

ე) მონაცემთა ბაზების იმგვარ ადმინისტრირებას, რომ ინფორმაცია პირს მიეწოდოს ინდივიდუალურად.

მუხლი 4. მონაცემთა დამუშავების საფუძვლები

1. ცენტრი მონაცემებს ამუშავებს:

ა) მონაცემთა სუბიექტის თანხმობა მონაცემთა ერთი ან რამდენიმე კონკრეტული მიზნით დამუშავებაზე;

ბ) მონაცემთა სუბიექტთან დადებული გარიგებით ნაკისრი ვალდებულების შესასრულებლად ან მონაცემთა სუბიექტის მოთხოვნით გარიგების დასადებად, ან მონაცემთა დამუშავება გათვალისწინებულია კანონით;

დ) მონაცემთა დამუშავება საჭიროა დამუშავებისთვის ცენტრის მიერ კანონმდებლობით მისთვის დაკისრებული მოვალეობების შესასრულებლად;

ე) მონაცემი საჯაროდ ხელმისაწვდომია ან მონაცემთა სუბიექტმა იგი საჯაროდ ხელმისაწვდომი გახადა;

ვ) მონაცემთა დამუშავება აუცილებელია მონაცემთა სუბიექტის ან სხვა პირის სასიცოცხლო ინტერესების დასაცავად, მათ შორის, ეპიდემიის მონიტორინგის ან/და მისი გავრცელების აღკვეთის, ჰუმანიტარული კრიზისების, ბუნებრივი და ადამიანის მოქმედებით გამოწვეული კატასტროფების სამართავად;

ზ) მონაცემთა დამუშავება აუცილებელია მნიშვნელოვანი საჯარო ინტერესის დასაცავად;

თ) მონაცემთა დამუშავება აუცილებელია კანონმდებლობით განსაზღვრული საჯარო ინტერესის სფეროსთვის მიკუთვნებული ამოცანების შესასრულებლად, მათ შორის, დანაშაულის თავიდან აცილების, დანაშაულის გამოძიების, სისხლისსამართლებრივი დევნის, მართლმსაჯულების განხორციელების, ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის, საზოგადოებრივი უსაფრთხოების, მართლწესრიგის დაცვის, მათ შორის, ინფორმაციული უსაფრთხოებისა და კიბერუსაფრთხოების უზრუნველყოფის, მიზნებისთვის;

ი) მონაცემთა დამუშავება აუცილებელია ცენტრის ან მესამე პირის მნიშვნელოვანი ლეგიტიმური ინტერესების დასაცავად, გარდა იმ შემთხვევისა, თუ არსებობს მონაცემთა სუბიექტის უფლებების დაცვის აღმატებული ინტერესი;

კ) მონაცემთა დამუშავება აუცილებელია მონაცემთა სუბიექტის განცხადების განსახილველად

2. მონაცემთა დამუშავების სამართლებრივი საფუძვლის დასაბუთების ვალდებულება ეკისრება დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირს.

3. პერსონალური მონაცემების დამუშავებამდე, მონაცემთა სუბიექტის თანხმობა უნდა იყოს ნებაყოფლობითი, მკაფიო. დამუშვებას საფუძვლად დაედოს მონაცემთა სუბიექტის თანხმობა, გამოხატვის საშუალება იყოს ნათელი, რომლითაც დგინდება მონაცემთა სუბიექტის ნება.

მუხლი 5. პერსონალური მონაცემების მოპოვება მესამე პირებისგან

1. ცენტრმა, მონაცემთა სუბიექტის პერსონალური მონაცემები, შესაძლოა მოიპოვოს:

ა) მესამე პირებისგან, მონაცემთა სუბიექტის სრულყოფილი მომსახურებისთვის, საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ შემთხვევებში;

ბ) ცენტრის მმართველობის სფეროს მიკუთვნებული ამოცანების შესასრულებლად;

გ) საჯარო დაწესებულებებთან ან კერძო სამართლის იურიდიულ პირებთან ნაკისრი ვალდებულებებიდან გამომდინარე.

2. მესამე პირს წარმოადგენს ფიზიკური ან/და იურიდიული პირი.

მუხლი 6. განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემთა დამუშავება

ცენტრის მიერ დაშვებულია განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემთა დამუშავება, როგორიცაა ნასამართლობა და ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებული მონაცემები, რაც აუცილებელია შრომითი ვალდებულებების და ურთიერთობების ხასიათიდან გამომდინარე და იგი ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობის და მონაცემთა სუბიექტის წერილობითი თანხმობის საფუძველზე. ასევე, კანონმდებლობით

დაკისრებული მოვალეობის შესასრულებლად საჭირო განსაკუთრებული კატეგორიის სხვა მონაცემები.

მუხლი 7. გარდაცვლილი პირის შესახებ მონაცემთა დაცვა

გარდაცვლილი პირის მონაცემების დამუშავება, რომელიც დაცულია ცენტრში, დასაშვებია, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ამ მონაცემთა დამუშავებაზე შეზღუდვის შესახებ არსებობს მონაცემთა სუბიექტის მშობლის, შვილის, შვილიშვილის ან მეუღლის მიერ გაცემული წერილობითი დოკუმენტი, ან გარდაცვლილმა მონაცემთა სუბიექტმა გარდაცვალებამდე წერილობით აკრძალა მისი გარდაცვალების შემდეგ, მის შესახებ მონაცემთა დამუშავება.

მუხლი 8. მონაცემთა სუბიექტის უფლებები და ვალდებულებები

1. მონაცემთა სუბიექტს უფლება აქვს მოსთხოვოს ცენტრის ინფორმაცია მის შესახებ მონაცემთა დამუშავების თაობაზე. ცენტრი შეტყობინების მიღებიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღისა, რაც განსაკუთრებულ შემთხვევაში სათანადო დასაბუთებით შესაძლოა გაგრძელდეს 10 სამუშაო დღით , უზრუნველყოფს მონაცემთა სუბიექტის ინფორმირებას:

ა) დამუშავებას დაქვემდებარებული პერსონალური მონაცემების კატეგორიის, მიზნისა და სამართლებრივი საფუძვლის შესახებ;

პერსონალური მონაცემების მესამე პირზე გადაცემის შემთხვევში, გადაცემის სამართლებრივი საფუძვლის და მიზნის შესახებ, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

2. მონაცემთა სუბიექტს უფლება აქვს ნებისმიერ დროს, ყოველგვარი განმარტების ან დასაბუთების გარეშე გამოიხმოს მის მიერ გაცემული თანხმობა. ამ შემთხვევაში, მონაცემთა სუბიექტის მოთხოვნის საფუძველზე, მონაცემთა დამუშავება უნდა შეწყდეს ან/და დამუშავებული მონაცემები წაიშალოს ან განადგურდეს მოთხოვნიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღისა, თუ არ არსებობს მონაცემთა დამუშავების სხვა საფუძველი.

3. მონაცემთა სუბიექტის მიერ თანხმობის გამოხმობა არ იწვევს თანხმობის გამოხმობამდე და თანხმობის ფარგლებში წარმოშობილი სამართლებრივი შედეგების გაუქმებას.

4. მოითხოვოს პერსონალური მონაცემების ცვლილება, განახლება, დამატება, დაბლოკვა, წაშლა ან განადგურება, თუ პერსონალური მონაცემები არის არასრული, არაზუსტი, მოძველებულია ან უკანონო გზით მოპოვებული.

5. საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, შესაძლოა შეიზღუდოს პერსონალურ მონაცემთა დაუყოვნებლივი წაშლის შესაძლებლობა.

მუხლი 9. ცენტრში დასაქმებულ პირთა უფლება-მოვალეობანი

1. ცენტრი უზრუნველყოფს დასაქმებულ პირთა ინფორმირებას, თუ რა სახის პერსონალურ მონაცემებს დაამუშავებს მის შესახებ.

2. ცენტრის მიერ განსაზღვრულ, პერსონალური მონაცემის დამუშავებაზე დასაქმებულ პირებს ევალებათ პერსონალური მონაცემების შემცველი დოკუმენტებისა და ფაილების იმგვარი შენახვა, რომ თვიდან იქნეს აცილებული მონაცემის უკანონოდ გამჟღავნება, დაკარგვა, წაშლა ან განადგურება

3. ცენტრში დასაქმებული პირი ვალდებულია არ გაამჟღავნოს და არ გადასცეს პერსონალური მონაცემები სხვა პირებს, (მათ შორის, სამსახურიდან გათავსუფლების შემდეგაც).

მუხლი 10 . ელექტრონული ფოსტისა და ტელეფონის ნომრების გამოყენება

დაკისრებული ფუნქციების ეფექტური შესრულებისთვის, ასევე სწრაფი კომუნიკაციის მიზნებისთვის, ცენტრი ამუშავებს ცენტრთან შრომით ურთიერთობაში მყოფი ფიზიკური პირების ელ-ფოსტებსა და ტელეფონის ნომრებს. აგრეთვე, იმ პირების ელ-ფოსტებსა და ტელეფონის ნომრებს, რომლებიც არ არიან ცენტრის თანამშრომლები, მაგრამ მათთან სწრაფი და ეფექტური კომუნიკაცია საჭიროა დაკისრებული ვალდებულებების შესასრულებლად.

მუხლი 11. ინციდენტი

1. ცენტრი აღრიცხავს ინციდენტს, აღმოჩენიდან არა უგვიანეს 72 საათისა. დამდგარი შედეგი და მიღებული ზომები ინციდენტის შესახებ წერილობით ან ელექტრონული ფორმით ეცნობება პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ნაკლებ სავარაუდოა, რომ ინციდენტი მნიშვნელოვან ზიანს არ გამოიწვევს ან/და მნიშვნელოვან საფრთხეს არ შეუქმნის ადამიანის ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებს

2. ცენტრი ვალდებულია, აღრიცხოს მონაცემთა დამუშავებასთან დაკავშირებული, მათ შორის ინციდენტის შესახებ ინფორმაცია. აღნიშნული ვალდებულება ყველა აღმოჩენილ ინციდენტზე ვრცელდება, მიუხედავად იმისა, ექვემდებარება თუ არა ინციდენტი პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურისთვის ან/და მონაცემთა სუბიექტისთვის შეტყობინებას

მუხლი 12. ინციდენტის შეფასება

1. ინციდენტის შედეგად ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების შელახვის სიმძიმე უნდა შეფასდეს შემდეგი კრიტერიუმების გათვალისწინებით:

ა) ინციდენტის სახე;

ბ) მონაცემთა კონფიდენციალურობის დარღვევა;

გ) მონაცემთა მთლიანობის დარღვევა;

დ) მონაცემთა ხელმისაწვდომობის დარღვევა.

2. პერსონალური მონაცემების კატეგორია, რომლებზეც ინციდენტი გავლენას ახდენს:

ა) განსაკუთრებული სოციალური თუ სამართლებრივი დაცვის საჭიროების მქონე პირები, როგორც მონაცემთა სუბიექტები;

ბ) მონაცემთა სუბიექტის იდენტიფიცირების შესაძლებლობის ხარისხი;

გ) მონაცემთა სუბიექტის უფლებებისა და ინტერესების მიმართ დამდგარი შედეგი;

დ) დამუშავებისათვის პასუხისმგებელი პირის საქმიანობის განსაკუთრებული ხასიათი.

მუხლი 13. მონაცემთა უსაფრთხოება

ცენტრის მიერ მიღებულია შესაბამისი ორგანიზაციულ - ტექნიკური და ინფორმაციული ზომები, რაც უზრუნველყოფს მონაცემთა დაცვას შემთხვევითი ან უკანონო განადგურებისაგან, შეცვლისგან, გამჟღავნებისგან, მოპოვებისგან, ნებისმიერი სხვა ფორმით უკანონო გამოყენებისა და შემთხვევითი ან უკანონო დაკარგვისგან.

მუხლი 14. ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების შელახვის საფრთხეების განსაზღვრა და შეფასება

1. ინციდენტით გამოწვეული შესაძლო შედეგის სიმძიმის შეფასების შემდეგ განისაზღვრება, ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებებისთვის მნიშვნელოვანი ზიანის გამომწვევი ან/და მნიშვნელოვანი საფრთხის შემცველი შედეგის დადგომის ალბათობა, რაც შეიძლება იყოს დაბალი, საშუალო ან მაღალი.

2. ინციდენტი, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების შელახვის სიმძიმის თვალსაზრისით, მნიშვნელოვანი ზიანის გამომწვევად უნდა იქნეს მიჩნეული, მათ შორის, იმ შემთხვევებში, თუ მას მოჰყვა ან/და შესაძლოა მოჰყვეს:

ა) მონაცემთა სუბიექტის დისკრიმინაცია, ვინაობის მითვისება ან გაყალბება, ფინანსური ზიანი, მონაცემთა სუბიექტის რეპუტაციის შელახვა, პროფესიული საიდუმლოებით დაცული პერსონალური მონაცემების კონფიდენციალობის დარღვევა, ან სხვა სახის მნიშვნელოვანი სოციალური ან/და ეკონომიკური ზიანი;

ბ) მონაცემთა სუბიექტის „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებისათვის ხელის შეშლა, მათ შორის, მონაცემთა სუბიექტის უფლებების კანონით დადგენილ ვადებში რეალიზების შეზღუდვა;

გ) პერსონალური მონაცემების იმგვარი წაშლა/განადგურება, რომელიც არ ექვემდებარება აღდგენას, ან მისი აღდგენა არაპროპორციულად დიდ დროსა და ძალისხმევას საჭიროებს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც პერსონალური მონაცემების (გარდა განსაკუთრებული კატეგორიის პერსონალური მონაცემისა) დამუშავების მიზნიდან გამომდინარე, მათი წაშლის/განადგურების შედეგად, მონაცემთა სუბიექტს მნიშვნელოვანი ზიანი არ ადგება;

დ) განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემების უკანონო გამჟღავნება;

ე) შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების, არასრულწლოვნების და სხვა განსაკუთრებული სოციალური თუ სამართლებრივი დაცვის საჭიროების მქონე მონაცემთა სუბიექტების პერსონალური მონაცემების უკანონო დამუშავება.

მუხლი 15. პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურისთვის შეტყობინების ვალდებულება, ფორმა და ვადები

1. პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი ვალდებულია, ინციდენტის შესახებ შეატყობინოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურს, მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ ინციდენტი საშუალო ან მაღალი ალბათობით მნიშვნელოვან ზიანს გამოიწვევს ან/და მნიშვნელოვან საფრთხეს შეუქმნის ადამიანის ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებს.

2. თითოეული შეტყობინების დროულობის შეფასებისას მხედველობაში მიიღება ინციდენტის ხასიათი, მასშტაბი და მონაცემთა სუბიექტების უფლებებისადმი მოსალოდნელი შედეგების სიმძიმე;

3. ინციდენტის შესახებ შეტყობინება, ფორმის შევსება და მისი წარდგენა უნდა განახორციელოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერმა, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში, დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის მიერ განსაზღვრულმა სხვა პირმა;

4. პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურისათვის მიწოდებული ინფორმაცია უნდა შეიცავდეს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ კანონით გათვალისწინებულ რეკვიზიტებს;

5. ინციდენტის პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურისთვის შეტყობინების ვალდებულება არ წარმოიშობა, თუ დაბალია ალბათობა, რომ ინციდენტი მნიშვნელოვან ზიანს გამოიწვევს ან/და მნიშვნელოვან საფრთხეს შეუქმნის ადამიანის ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებს;

მუხლი 16. პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი

1. ცენტრში, პერსონალურ მონაცემთა დამუშავების პროცესების კანონმდებლობასთან შესაბამისობის უზრუნველყოფას ახორციელებს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი, რომელიც თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია და ანგარიშვალდებულია მინისტრის და მინისტრის მოადგილეების წინაშე.

2. პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი:

ა) მონიტორინგს უწევს ცენტრში პერსონალურ მონაცემთა დამუშავების პროცესს;

ბ) საჭიროების შემთხვევაში, თანამშრომლობს პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურთან;

გ) უზრუნველყოფს თანამშრომელთა ინფორმირებას პერსონალურ მონაცემთა დაცვის საკითხებზე;

დ) განიხილავს მონაცემთა სუბიექტის განცხადებებს, საჩივრებს და გასცემს შესაბამის რეკომენდაციას;

ე) პერსონალურ მონაცემთა დაცვის საკითხზე კონსულტაციას უწევს ცენტრში დასაქმებულ პირებს;

ვ) მონაცემთა დაცვასთან დაკავშირებულ საკითხებზე, მათ შორის, მარეგულირებელი სამართლებრივი ნორმების მიღების ან შეცვლის შესახებ, ახორციელებს დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის, დამუშავებაზე უფლებამოსილი პირისა და მათი თანამშრომლების ინფორმირებას, მათთვის კონსულტაციისა და მეთოდური დახმარების გაწევას;

ზ) მონაწილეობს მონაცემთა დამუშავებასთან დაკავშირებული შიდა რეგულაციებისა და მონაცემთა დაცვაზე ზეგავლენის შეფასების დოკუმენტის შემუშავებაში, აგრეთვე

მონიტორინგს უწევს დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის ან დამუშავებაზე უფლებამოსილი პირის მიერ საქართველოს კანონმდებლობისა და შიდა ორგანიზაციული დოკუმენტების შესრულებას;

თ) მოთხოვნის შემთხვევაში, პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურს, წარუდგენს ინფორმაციასა და დოკუმენტებს, ასევე სამსახურის დავალებებისა და რეკომენდაციების შესრულების კოორდინაციასა და მონიტორინგის შესახებ ანგარიშს;

ი) მონაცემთა სუბიექტის, მომართვის შემთხვევაში, აწვდის ინფორმაციას მონაცემთა დამუშავების პროცესებისა და მისი უფლებების შესახებ ;

3. დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის და დამუშავებაზე უფლებამოსილი პირის მიერ უზრუნველყოფილია პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის სათანადო ჩართულობა მონაცემთა დამუშავებასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

6. პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის ვინაობა და საკონტაქტო ინფორმაცია, კანონის თანახმად პროაქტიულად გამოქვეყნებულია ცენტრის ოფიციალურ ვებგვერდზე.

7. ცენტრი, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის დროებითი არყოფნის ან მისი უფლებამოსილების შეწყვეტის შემთხვევაში, გაუმართლებელი დაყოვნების გარეშე, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის უფლებამოსილებით აღჭურავს სხვა პირს.

მუხლი 17. ინციდენტის შესახებ მონაცემთა სუბიექტის ინფორმირების ვალდებულება და გამომრიცხავი გარემოებები

1. თუ ინციდენტი მაღალი ალბათობით გამოიწვევს მნიშვნელოვან ზიანს ან/და მნიშვნელოვან საფრთხეს შეუქმნის ადამიანის ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებს, ცენტრი ინციდენტის აღმოჩენიდან პირველი შესაძლებლობისთანავე, გაუმართლებელი დაყოვნების გარეშე აცნობებს მონაცემთა სუბიექტს ინციდენტის შესახებ და მარტივად და მისთვის გასაგებ ენაზე მიაწვდის ინციდენტთან დაკავშირებულ გარემოებების , ინციდენტით გამოწვეული სავარაუდო/დამდგარი ზიანის, მის შესამცირებლად ან აღმოსაფხვრელად განხორციელებული ან დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ ინფორმაციას.

ა) თუ მონაცემთა სუბიექტის ინფორმირება არაპროპორციულად დიდ ხარჯებს ან ძალისხმევას მოითხოვს, ცენტრი საჯაროდ, ან სხვა ისეთი ფორმით გაავრცელებს ინფორმაციას, რითაც უზრუნველყოფილი იქნება მონაცემთა სუბიექტის მიერ ინფორმაციის მიღება

2. ცენტრის ინციდენტის შესახებ მონაცემთა სუბიექტების ინფორმირების ვალდებულება არ წარმოიშობა, თუ ეს საფრთხეს შეუქნის :

ა) საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესებს, ;

ბ) სახელმწიფო საიდუმლოების დაცვის ინტერესებს;

გ) სახელმწიფო უსაფრთხოების, ინფორმაციული უსაფრთხოებისა და კიბერუსაფრთხოების ან/და თავდაცვის ინტერესებს

დ) ქვეყნისთვის მნიშვნელოვან ფინანსურ ან ეკონომიკურ, საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის საკითხებთან დაკავშირებულ ინტერესებს

ე) დანაშაულის თავიდან აცილებას, ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობას, დანაშაულის გამოძიებას, სისხლისსამართლებრივ დევნას;

ვ) მართლმსაჯულების განხორციელებას.

2. მონაცემთა სუბიექტების ინფორმირების ვალდებულება ასევე არ წარმოიშობა იმ შემთხვევაში, თუ დამუშავებისთვის პასუხისმგებელმა პირმა მიიღო შესაბამისი უსაფრთხოების ზომები, რის შედეგადაც თავიდან იქნა აცილებული ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევის მნიშვნელოვანი საფრთხე;

მუხლი 18. მონაცემთა შენახვის ვადა

მონაცემები შეინახება მხოლოდ იმ ვადით, რაც აუცილებელია მონაცემთა დამუშავების შესაბამისი ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად. თავდაპირველი მიზნის მიღწევის შემდეგ, ისინი უნდა წაიშალოს, განადგურდეს ან შენახული უნდა იქნეს დეპერსონალიზებული ფორმით, გარდა იმ შემთხვევისა, თუ მონაცემთა დამუშავება განსაზღვრულია კანონით ან /და კანონის შესაბამისად გამოცემული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით და მონაცემთა შენახვა აუცილებელი და პროპორციული ზომაა დემოკრატიულ საზოგადოებაში აღმატებული ინტერესების დასაცავად.

მუხლი 19. გასაჩივრების უფლება

მონაცემთა სუბიექტს უფლება აქვს, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული უფლებების , დარღვევის შემთხვევაში, კანონით დადგენილი წესით, მიმართოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურს, სასამართლოს ან/და ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოს.